


ცელიწადი გეორგი

ცელიწადი გეორგი

სახელის ქურნალი

გოსავალი



ივლისი.

№ № 13 & 14

შ ი ნ ა რ ა ს ი :

— 3. გულბათიშვილი	უკრებელა ბაჟარი და მელიკუდი	3
— პროფ. გოლდენი	მცირე წლოვანთა სიმინდის კლუბი ამერიკაში	5
ა. კახელაძე	სმერიკა გაზის კულტ. მცოდნე ზაროს თათბირი (რუსულით)	7
3. ავერკინი	მთხვეწება ამერიკულ გაზის კუნასის გაშენების შესახელს გახევაში	9
ა. კუპევი	კონდიციის სანერგებან დასკვნილი	15
3. ი. ტეებო	ამერიკული გაზის კულტურა	18
(შის მოკლე მოსენილი)		
ე. ახლოელიანი	წერილები რედაქციის მიმართ და რედაქციის პასუხები	21
ერ. ჯაველიძე		
ირ. ფორაქიშვილი		
— მეცხვარეობის გამოფენა მოსკოვში	23	

ფურნალი ჭელიჭადში ლირს — 3 მანეთი. მისამართი: თიფლის, ბარეთინსკა 5.

სამეურნეო უურხალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს უურნალში იღებდნენ მთნაწილეობას: — ახლუილი ვ., ანაზეული პ.-ახლუას ი., გულაბათიშვილი ვ., გაღმისხვეწილი ბ., გვარამაძე ილ., გორთამაშვილი ლ., გამჩარაშვილი გ., თაქთაქიშვილი გ., იოსელიანი ე., გახლიძე ი., შქელიშვილი ვ., მელია პ., მილაშვილი ლ., ჩახაბელი ა., მაჩაბელი ი., ნახუკრიშვილი გ., როლოვი ა., რუსიშვილი ა., რცხილაძე ვ., ქუთათელაძე ი., ყავრიშვილი ნ., ჩიგაძე ე., ჩხეიძე ყ., ცხადაძე გრ., ღ—ძე ლ., მღ. ჯალიაშვილი, წ—ძე აპ., ხეთაგური ს., უ—ელი ვ., უნგელია ვ.

რედაქტირ მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საზურადლებოდ.

უურნალის შემოსავლიდნ გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტირ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქტირ მჩათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მეოთხველებს ყოველ გვარი შეამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შეძენაზეასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკერლ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონ (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ლირს თ. შაფრი.

წლიური აბონემეტებისათვის განცხადების ფასი რედაქტირასთან შეთანხმებით. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქტირ უურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაპი

უგრეხელა გალახი და გელიცუდა

უგრეხელას (Bika) სთესავენ შვრიაში არეულსაც და ცალკეც. სთესავენ ვას ბალახად გასათიბადაც და ნამჯისა და ხორბლის მისაღებადაც. ბალახად ითიბება უგრეხელა როცა პარკის გამოტანას იწყებს, ხორბლის მისაღებად კიდე მაშინ, როცა მომწიფედება ანუ შემოვა როგორც პური ან ქერი შემოდის ხოლმე. უგრეხელა ბალახი ითესება აღრე გაზაფხულზე შემოდგომითვე მოხნულ მიწაზე. სთესავენ უგრეხელას ისეთ მიწაზედაც, რომელიც შემოდგომით მოიხსნა იმ აზრით, რომ მეორე შემოდგომამდე მიწამ დაისვენოს, გაფუვდეს სითბო-სინესტე გაუჯდეს და შემდეგ შემოდგომის მოსავალი დაითესოს მასზედ. ხოლო ასეთ შემთხვევაში უგრეხელა ითესება ბალახად გასათიბად და არა ხორბლის მისაღებად. თუმცა გაზაფხულზე დათესილი უგრეხელა შემოდგომის მოსავლის დათესამდე უკვე აიღება, მაგრამ ხელმისაცემი კი არ არის, რადგან ნიადაგს მეტად აშრობს და მის შემდეგ დათესილი შემოდგომის მოსავალი იჩიგრება უწყლოობისაგან. როცა უგრეხელა ბალახად უნდაო რომ გათიბონ, მაშინ თითო დესეტინაზე უნდა დაითესოს 5 ფუთი უგრეხელა და 4 ფუთი შვრია. როცა სთესავენ ხორბლის ასაღებათ, მაშინ კი ერთ დესეტინას უნდება დასათხსად 8 ფუთი უგრეხელა და 2 ფუთი შვრია.

უგრეხელა, როგორც ჰემოთა ვსოჭვით, ითესება შვრიასთან არეული, რადგან დერო სუსტი აქვს და მარტო რო იყოს, მალე წაიქცევა. შვრიასთან და-

თესილი კი ებლაუჭება ამ უკანასკნელს თავისი ულვაშებით და ალარა წვება. გარდა ამისა რამდენიმე ხორბლეულის ერთად დათესვის სხვა უფრო მეტი საფუძველი აქვს. ეს საფუძველი გახლავთ ნიადაგის უფრო მეტად გამორჩენა და მაშინადამე მეტი მოსავლის მიღება. დიდფოთლებიანი მცენარე რომ ვიწრო ფოთლებიანთან დაითესოს რაც შეიძლება ხშირად, ერთი და იგივე ზომის მინდორი უფრო მეტ მცენარეს დაიტევს, ვიდრე ცალკ-ცალკე რომ დაგვეთესა. შერეული თესილებიან ერთი რომ მსხვილ-ღეროიანი მცენარე იყოს და შეორე—სუსტლეროიანი, ეს უკანასკნელი პირველის დახმარებით იოლას წავა; ერთი და იგივე ნიადაგი ერთ დათესილ მცენარეს რომ არ გამოაღეს, მეორეს შეიძლება ძალიან მოუდხეს; შერეულ მცენარეში ერთი რომ დაზარალდეს რამე სატკივრით ან მწერით, მეორე შეიძლება უვნებელი დარჩეს. ყველა ასეთგვარ შემთხვევებში შერეული მცენარეებით დათესილი მინდორი უფრო მეტ მოსავალს მოიცემა, ვიდრე მარტო ერთი მცენარე რომ დაგვეთესნა. გარდა ამისა წითელი სამყურა და ძურწა ბალახი (Timofoeevka^{*}) ითესებიან მაგალითად ერთად იმიტომ, რომ სამყურა ბალახი დათესილან მეორე წელიწადს იძლევა უმეტეს მოსავალს, ხოლო მესამე და მეოთხე წლებში კლებულობს თანდათან, ძურწა ბალახი კი უმეტეს

*) ამ ბალახს შეცდომით გუწოდეთ ჩვენს წერილში (იხ. ამა წლის „მოსავალი“, № 8) „საგველა ბალახი“.

მოსავალს მესამე და მეოთხე წელს იძლევა, რის გამო ამ ორივე ბალახით ერთად დათესილ მინდვრიდან სამივე წლის განმავლობაში თითქმის ერთი და იგივე ზომის თივა ადის რაოდენობით.

თივის ასაღებათ გათიბვა უგრეხელისაც და შვრისაც უნდა დაიწყოს მაშინ, როცა ბალახი დაყვაილებას იწყებს. სანამ დაიყვავილებს უგრეხელის ძაბნ ბევრი წყალი ურევია და თუ იხარბა საქონელმა გაბერავს.

დათაღმება და ძირებათ დადგმა მაშინ უნდა მოხდეს როცა შეკვნება ბალახი და არა მაშინ როცა გაშრება ძალაზე, რადგან ამ უკანასკენელ შემთხვევაში შეიძლება ბალახს რაციონ სინოყივრე აქვს — ყვავილი, ნორჩი ფოთლები — გასცვიდეს და ცარიელი ხეჭკეტილა დარჩეს.

უგრეხელი იძლევა 100—300 ფუთ ნოჟიერ თივას დესეტინაზე.

რადგან ამ ბალახის თივად აღება დიდ სიფრთხილეს თხოულობს, ალბად აშიტომ რუსეთის გლეხობაც და ქართლშიაც უგრეხელის სახობრლეთ სთხავენ. ხორბალი იფქვება და რომად აქმევენ საქონელს, ხოლო ნამჯა კი ბზე-ნამჯად ინახება ივივე საქონლისათვის. თითო დესეტინაზე უგრეხელი, თუ კარგი მოსავალია, 30—40 ფუთ ხორბალი იძლევა.

უგრეხელის ხორბალი, როგორც საკვებავი საქონლისათვის, შვრიაზედ უფრო ნოჟიერია. საჭმელად ეძლევა მოხნავ ცხოველებს ბაგაში ბზეში არეული, ხოლო ცხენებს შვრიაზედ მოუყრიან ხოლმე ახურში. ასეთ შემთხვევაში შვრია ნაკლები სჭირდება ცხენს, ვიდრე ცარიელი შვრია რომ მიგვეცა.

უნდა გვახსოვდეს, რომ უგრეხელის მარცვალს ერთგვარი მომწარო ნივთიერება ურევია, რისგამო საქონელი პირველად სიამოვნებით არა სჭიმს მას, ხოლო მერე და მერე კი ეჩვევა და მადას უმატებს, თუ მეტადრე ცოტა მარილიც მოუყარეთ პირველად.

უგრეხელი ერთი წლის მცენარეა, თესვა ყოველწლივ სჭირდება. უნდა იმედი ვიქონით რომ ამ ბალახის თესვაში გავარჯიშებული მეურნე უფრო ადგილად მიხვდება და მოახერხებს კიდევაც ამაზედ უფრო ხელმისაცემ საკვებავ ბალახების თესვას, როგორიც არიან სამყურა ბალახი და მეტადრე იონჯა.

უგრეხელის თესლი ღირს ფუთი 1½—2 მანეთი.

მელიკუდა ბალახი (Marapa) ითესება ყუბანისა და თერვის ოლქებში. ყუბანიდან გაღმოსახლებულმა გლეხებმა ჩვენშიაც შემოიღეს ეხლა ამ ბალახის თესვა.

მელიკუდა წააგავს ფეტვს; ერთი წლის მცენარეა; თესვა უნდება ყოველწელს. ამ ბალახს სთხესავენ ანეულებთან ერთად. ერთი ნაწილი ნახნავისა რომ საანეულე მოსავლით — ფეტვის, სიმინდით, ქერით ან პურით დაითესოს, მეორე ნაწილს ნახნავისას აქტრინებენ მელიკუდას. ეს ბალახი თხოულობს კარგ ნოჟიერ ნიადაგს; გამოფიტულ ნიადაგზე მცირედ მოსავალს იძლევა, მაგრამ სამაგიეროდ გოლვას კარგად იტანს. ამას გარდა მელიკუდას თესვას მიზდევენ უფრო იმიტომ რომ ძრიელ ცოტა თესლი უნდება თითოეულ დესეტინის დათესვას, დესეტინაზე კმარობს ერთ ფუთზე ცოტა მეტი თესლი, ამასთან თივათაც აღვილი ასა-

ლებია და არც სინოუივრით ჩამოურჩება სხვა ერთი წლის ბალახებისაგან მიღებულ თვესას.

თუ კარგი ამინდი დაუდგა მელიკულ ბალახი იზრდება ორი არშინი სიმაღლე; მცენარის ერთი მარცვლიდან ბალახის რამდენიმე ლერი ამოდის; ფესვი ბალახს ღრმად მისდის მიწაში და ამიტომ არც გოლვისა ეშინიან როგორც ხორბლებულ მცენარეებს.

მელიკულა ითესება გაზაფხულზე, როცა იმდენად მოთხება რომ განთიადისას ყინვა მოსალოდნელი აღარ არის. სიცივეში მელიკულა იგვიანებს ამოსვლას, შამბი ბალახი წამოასწრობს ხოლმე ბლომად და სხაგრავს მას სრულებით.

მელიკულა უნდა დაითესოს კარგად მოხსულ და დაფარცხეულს მიწაზე. თესლის მოფანტვის შემდეგ მიწა უნდა ან სუბუქი ფარცხით დაიფარცხოს ისევ

ან და უფრო უკეთესი იქნება რომ საგორავით დაიტკეპნოს ოდნივ.

თითო დესეტინას $1\frac{1}{4}$ ფუთი თესლი ჰყოფნის დასათესად, ოღონდ თესლი იყოს ახალი, ერთი ან ორი წლით წინ იღებულ მოსავლისა, რადგან უფრო ამაზე ძველი თესლი მელიკულასი ამოსვლის უნარს ჰყარგავს და მოსავალი შეიძლება სრულებით მოსცდეს. თესლი უნდა იყოს სუფთა, გუდაფშუტა ან ერიოს.

ამ ბალახის თესლი ლირს ფუთი 1—2 მანეთი, გათიბვის დრო დგება მაშინ როცა მელიკულა თავთავის გაკეთებას დაიწყებს. მერე კი ხეჭკჭდება და სინოუირე ეყარგება. გათიბული ძრიველ მალე ჭინება, ისე რომ მალე უნდა დათალმება და ძირებად დადგმა. თითო დესეტინა ხან 400 ფუთ თივას ააყენებს ხოლმე, საშუალოდ კი 150 ფუთს იძლევა.

ვ. გულბათიშვილი.

მცირე წლოვანთა სიმინდის კლუბი ამერიკაში

ბესარაბიელი მეურნე უფრო დიდ გაჭირვებაშია ვიდრე ჩვენი ქართველი მეურნე: ვაზს აშენებენ ბესარაბიაშიაც, მაგრამ იქაური ღვინო კაჭკაჭსაც კი არ დაახსავლებს; სიმინდი მოჰყავთ, რომელსაც სამოცდა ათ ფუთამდე ძლიერ იღებენ დესეტიდან. ისე სხვა მოსავალია. ორი წლის წინად ბესარაბიის ერობამ გამოიწვია ამერიკიდან სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი გოლდენი, რომ აჩვენოს და შეასწავლოს ბესარაბიელ მეურნეებს მოსავლიანი შემუშავება სიმინდისა.

1912 წ. ბესარაბიის ერობამ გამოსცა პროფესორ გოლდენის წიგნი „ანბანი სიმინდის მოყვანისა“, რომლის ბო-

ლოში მოჰყავს მოკლედ წეს-წყობილება მცირე წლოვანთა სიმინდის კლუბებისაც.

საცა შრომას პატივი აქვს, საცა ფიზიკური მუშაობა ხევდრია არა მარტო ღარიბ-ღატაკისა, არამედ მითი თავი მოაქვს საზოგადოების ყოველ წევრს, იქ შრომის ნაწარმოები მარტო უბრალო ფიზიკური მუშაობის შედეგი კი არა მთელი საზოგადოების სულიერ ძალთა შემოქმედების გამომხატველი ნაყოფია.

ესეთი წარმოდგენა ამერიკელებს მტკიცედ აქვთ შეგნებული და ამიტომაც თავიანთ მოზარდ თაობას ისინი სწავლასთან ერთად უბრალო

ფიზიკურ მუშაობასაც აჩვევენ და აყვა-
რებენ.

მცირე წლოვანთა სიმინდის კლუბებს
აწესრიგებს შეერთებული შტატების
სამეურნეო დეპარტამენტი. კლუბების
წევრებად ეწერებიან ბავშვები 11 წლი-
დან და ოცვლებიან წევრებად ვიდრე 16
წლამდე. თითოეულ წევრს კლუბი-
სას ეძლევა საკუთარი ან დაქირივებუ-
ლი მიწა ზომით ერთ ქცევამდე, სა-
დაც ყოველი თავის ნამუშავარი ბავშვ-
მა უნდა ჩაწეროს დღიურში დეპარ-
ტამენტის აგენტის ხელმძღვანელო-
ბით. სათესლე ტაროების გადარჩე-
ვა, ნიადაგის გაპოხიერება, დათესვა,
გამარგვლა, ერთი სიტყვით ყოველ-
გვარი მოვლა-პატრონობა სიმინდის
მოტეხამდე, სულ ამ პატარა მეურნის
საქმეა. ჭირნახულის ჩაკლების დროს
მეურნე იგი მოვალეა გადაარჩიოს თა-
ვისი მოსავლიდან ათი საუკეთესო ტა-
რო და წარადგინიას სამაზრო კრებულ-
ში, სადაც ყველა კლუბის წევრებიდან
მთელს გაზრდაში მოგროვილი ასე სი-
მინდი იშინჯება და საუკეთესო მათში
ჯილდოვდება სამაზრო ჯილდოთი. და-
ჯილდოებული სიმინდი იგზავნება შემ-
დეგ მთელი შტატის საკრებულოში, სა-
დაც ყოველ წლივ საუკეთესო სიმინდის
მოყვანთა კლუბის ათ წევრს ჯილ-
დოებენ. შემდეგ, შტატის ჯილდოთი
დაჯილდოებულნი ყველა შტატები-
დან მიღიან ქალაქ ვაშინგტონში შეერ-
თებულ შტატების პრეზიდენტის წინაშე
გამოსაცხადებლად და აქ თვით პრეზი-
დენტი ურიგებს მათ უმაღლეს ჯილ-
დოს — საპატიო დიპლომებს.

1910 წელს ერთმა კლუბის წევრმა
თავის ათ ტაროში ჯილდოთ ორას
თუმნამდე მიიღო.

სიმინდის ტაროების დაფასება ასე
სწარმოებს:

1. მოსავლის რაოდენო-
ბის შემოწმება შესდ-
გება 30 მუხლისაგან
2. ტაროების ღირსების
დაფასება შესდგება. 20 "
3. მუშაობის იღწერა შე-
სდგება 20 "
4. წმინდა შემოსავალის
გამოანგარიშება შეს-
დგება 30 "

წმინდა შემოსავლის გამოანგარიშე-
ბაში მიღებულია:

- მიწის ლალა 27 გან.
- პატივი მიწისა 4 გან.
- მუშის ფასი საათში „—20 კ.
- ცხენის ქირა „... „—10 კ.

სიმინდის კლუბის ერთმა წევრმა სა-
მხრეთ კაროლინის შტატში თავის ერთ
ქცევა აღგილზე 443 ფუთი სიმინდი-
აილო, ესე იგი დესეტინაზე ავიდა თი-
თქმის 1197 ფუთი სიმინდი.

უკანასკნელ წლებში სიმინდის მო-
სავალმა კლუბების წევრების მინდვრებ-
ზე 4—7 ჯერ გადამეტა ორთაშუა-
მოსავალს სიმინდისას შტატებში.

რალა თქმა უნდა, პატარა ბავშვების
ესეთი მეურნეობა სიმინდის მოყვანაში
ძალაუნებულად იქონიებს კარგ ზედ-
გავლენას მათ უფროსების მეურნეობა-
ზედაც.

სიმინდის კლუბების წევრთა ჩიცვი
მთელს შეერთებულს შტატებში საერ-
თოდ უდრის 46000.

სამრეკლო ვაგის კულტურის მთლიანი პირია თათბირი, მოწვევლი შართულ
საცხოვრი-სამურავო საზოგადოების მიერ ჩაღატავი

მესამე კრება, 23 აპრილი 1912 წ.

სხდომა იხსნება საღამოს 7 სათზე.
ეს კრებაც ისეთივე მრავალრიცხვა-
ნია, როგორც დილისა. თავმჯდომა-
რებს ბ. ვ. ი. რცხილაძე.

უწინარეს ყოვლისა კრებას მოხსენდა
კომისიის დადგენილება საცდელ ვენა-
ხების ოცხვის და დღილმდებარეობის
შესახებ. კომისიის აზრით საცდელი
ვენახები უნდა გაშენდეს შემდეგს ადგი-
ლებში: ორი საცდელი ვენახი აღაზან
გაღმა ყვარელში და საბუეში და შეიღი
აღაზან გამოლმა, სახელდობრ: 1) ახმე-
ტა-რუისპირის შუა, 2) თელავ-ვარდისუ-
ბნის, 3) წინანდალ-ურიათუბნის, 4) მუ-
კუზან - ველისციხის, 5) ახაშენ - გურ-
ჯანის, 6) ბაკურციხის და 7) ქარდა-
ნახ-ხირის რაიონში.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ თათბირ-
შა მიაღო კომისიის დადგენილება, სოლო
საცდელ ვენახების რიცხვებს მოუმატა კიდევ
ერთი - უკანამხრის რაიონისათვის, საღაც
მდებარეობენ სოფლები: ბოლბე, მაჩხაბ-
ი, კლომენტისი და ორბოშეყი.

დასახელებულ ათ საცდელ ვენახიდან
ერთი, სახელდობრ წინანდალ-ურიათ-
უბნის რაომნისა, უკვე არის გაშენებუ-
ლი კონდოლში სახაზინო სანერგე-
ბაკურციხის საცდელი ვენახი გაშენე-
ბული იქნება ბ. ტორომანოვის ხარ-
ჯით, თანახმად მისი განცხადებისა.
მუკუზან-ველისციხის საცდელ ვენახის
მიზანს შეასრულებს საუფლისწულო
მამული. ამისგარდა იმედია კიდევ ორი
საცდელი ვენახიც გაშენდეს კერძო პი-

ଲେଖିଲେ କାରଜିତ. ଦାନାକନ୍ଦେଶ୍ବର କ୍ଷୁଟିଲେ ସାପ୍ରଦୟ-
ଲୀଳା କ୍ଷେତ୍ରରେ କୁ ଶ୍ରେଷ୍ଠ ପ୍ରଦମନଙ୍କରଙ୍କ କାରଣ୍ୟମୁକ୍ତ
କାରଣ୍ୟମୁକ୍ତ-କାରଣ୍ୟମୁକ୍ତକୁ ସାଧକୁଳଙ୍କୁଳିଲେ ମହିନେ
ମହିନେରମ୍ଭପ୍ରଦୟକିମ୍ବା ଅପାକର୍ତ୍ତାମନ୍ତ୍ରିଲେ ଏକମେଲେ

ამით თავდება პროგრამაში ჩამოთვლილი კითხვები.

ଶେମଦ୍ରେଘ ଅମିଲା କୁର୍ଯ୍ୟାବା ମନ୍ତ୍ରସେନଙ୍କଳା ଗାନ-
ସାନୀଲ୍ଲବ୍ରେଣ୍ଟାଲ ଧ-ନ ଶାକ୍ତିର୍ଗ୍ରେନ୍ରିଲ୍ ମିଥ୍ର
ଚାମଣ୍ୟୁବ୍ରେଣ୍ୟଲ୍ଲାର ଶାକ୍ତିକୋ—ତ୍ୟ କରିଲେଇମା
କୁଳପ୍ରେଷନ୍ତର ଶୁଣି ଏହିକିମା ଜ୍ୟେଣ୍ଠିକିଲ୍
ଦି ଓ ଶେମତ୍ରେଣ୍ୟାଫାରି, କରିଲେଇଶାତ୍ ଦ୍ୟୁମାଣି
ନ୍ତର ଏହିକିମା କାହାର ପାଇଁ କରିଲେଇଶାତ୍ ଶେମତ୍ରେଣ୍ୟା
ଏହିକିମା ଏହିକିମା ଏହିକିମା, ଏହିକିମା ଏହିକିମା
ଏହିକିମା ଏହିକିମା ଏହିକିମା ଏହିକିମା ଏହିକିମା.

ბ. ყაზახაშვილი. მე მეონია, ბ-ნ
ზაკტრეგერს აზრად ჰქონდა უფრო
ფართო საკითხის წამოყენება შესახებ
იმისა რომ გარდა მევენახეობისა ყუ-
რადღება უნდა მიეკცეს სხვა სასოფ-
ლო-სამეურნეო კულტურებსაც. ამის
პასუხად უნდა მოგახსენოთ, რომ ქარ-
თულმა სასოფლო-სასეურნეო საზო-
გადოებამ თავის სამოქმედო პროგრა-
მაში დაისახა გაუმჯობესება და გავრ-
ცელება კახეთში სხვა კულტურებისაც.
ეს სურვილი საზოგადოებისა ჯერჯე-
რობით გამოიხატა იმაში, რომ კახეთ-
ში, რომელიც წარმოადგენს განსაკუ-
თრებით მეღვინეობის რაიონს, დანი-
შნა არა სპეციალისტი მევენახე, არა-
მედ აგრონომი თეორეთიულად მცო-
ლნე სასოფლო-სამეურნეო ცველა დარ-
გებისა იმ მიზნით, რომ მან აღმოუჩი-

ნოს მცხოვრებთ აგრონომიული დახმარება ყველაგვარ დარგებში. აზრათა გვაქვს დავიწყოთ აქ ბალანსი თესვა, ხეხილების სანერგეს გაშენება დასარგავ მასალის მოსამზადებლად და სხვა. ყველა ამ დარგებისათვის მოწვეულნი იქმნებიან სპეციალისტები ისე, როგორც მოწვეულნი არიან დღეს ქართლისთვის. ყველა ამისათვის, რასაკურველია, საჭიროა ქონებრივი სახსარი.

საკითხის გამორკვევა თავდება. შემდეგ თაბბირი იხილავს ბ. დემენტიევის მიერ წამოყენებულს საკითხს: არსებულ ვენახების ფილოქსერებისაგან დაცვის შესახებ.

თავჯდომარე იძლევა ამ საკითხის შესახებ ესეთ წინადადებას: ეთხოვოს ტფილის მევენახე-მეღვინეთა კომიტეტის: როგორც ეს უკანასკნელი დაიწყებს მოქმედებას, მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ამ საქმეს და მიიღოს საჭირო ღონისძიებანი.

ბ. ზაკტონეგრი. ამ საქმეში მთავრობის მიერ მიღებული საშუალებანი საეჭვოდ მიმაჩნია, განსაკუთრებით კი ფისკალური ღონისძიებანი... ორატორი უპირატესობას აძლევს ხალხის შეგნებას, რისთვისაც საჭიროდ სთვლის გავრცელდეს ხალხში შეგნება სკოლების საშუალებით, საუბრების მოწყობით და სხვა. „საჭიროა, განაგრძოს ორატორი, განვითარდეს ხალხში თვითმოქმედება, რათა ფილოქსერისთან საბრძოლველად საჭირო ხარჯი ხალხმავე გამოიღოს და მუდმი ხაზინას არ შესკეროდეს ხელში“.

ბ. ყაზახს შვილი. „მთავრობას რომ ფილოქსერის წინააღმდეგ პოლიციურ საშუალებების მაგივრად კულტურუ-

ლი ღონისძიებით ებრძოლა, კახეთში ფილოქსერა არ გაჩნდებოდა“.

ბ. ცისკარაშვილი. ფილოქსერისთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნია საუბრების მოწყობა სოფლის მასწავლებლებისა და მღვდელებისათვის.

ბ. მაკარაშვილი. ვენახების დასაცავად ფილოქსერისაგან უნდა დაინიშნოს ერთი პირი, რომელიც თვალყურს დაიჭერს ვაზის და საზოგადოდ ყოველგვარ დასარგავ მასალის გადმოტანაზე აღაზნის მარცხნია მხრიდან მარჯვნივ.

თავჯდომარე. უნდა მოვახსენო კრებას, რომ მომეტებული ნაწილი იმისა, რაც აქ ითვევა, უკვე მოსაზრებული აქვს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. ახლო მომავალში აზრიად გვაქვს მოვაწყოთ მოძრავი კათედრა სასოფლო-სამეურნეო კითხვებზე. თუ ეს არ განხორციელებული აქნობამდის, ამის მიზეზი ის არის რომ საზოგადოება ჯერ ნორჩია და საქმაო საღსარი არა აქვს. როდესაც წინადადება შემომქონდა მეღვინე-მევენახეთა კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა აღვძრათ-მეთქი, სახეში მქონდა ის გარემოება, რომ შეიძლება კომიტეტმაც მიმართოს არა ფისკალურს, არამედ უფრო ნამდვილს საშუალებებს. ყოველს შემთხვევაში რა ღონისძიებაც გინდა იხმაროს კომიტეტმა, იგი ხელს არ შეუშლის ჩვენს მოქმედებას არსებულ ვენახების დაცვის შესახებ. ერთი პირის მოწვევა ვაზების გაღატან-გაღმოტანაზე თვალყურის-საგდებლად ძნელი არ არის თვით ჩვენი საზოგადოებისათვისაც, ხოლო რომ ასეთს საშუალებას მნიშვნელობა ჰქონდეს, საჭიროა მეთვალყურეები მეტი გვყანდეს რიცხვით, მთე-

№№ 13 და 14. მთხუაწება ამერიკულ ვაზზე ვენისების გაშენების შესახებ

ლი შტატი იყოს და შტატის შენახვა კი კერძო საზოგადოების საგანს არ შეადგენს.

კრებას ესთხოვ ყველა ზემონათქვა-
მის შემდეგ საკითხი საკმარისად გამორ-
კვეულად იცნოს და დაგროვოს ნება ოქმ-
ში შევიტანოთ ყველა აქ წამოყენებუ-
ლი და მოწონებული საშუალებანი შემდეგ ში სახელმძღვანელოდ. ესთხოვ
კრებას დასასრულ მოისმინოს ბ. ვერ-
მიშევის განცხადებაც.

ბ. ვერმიშევი. მ. ხ. 1 ფინანსთა მი-
ნისტრის მიერ კავკავში მაისის ორს
დანიშნულია თათბირი ლვინის გასამა-
გრებლად (120°-მდე) სპირტის უაქციზოთ
დათმობის შესახებ. ეს თათბირი გამო-
წვეულია დაინტერესებულ პირთა და
დაწესებულებათა სხვადასხვა შეხედუ-
ლებით. მელვინეობის ასალორჩინებ-
ლად ზოგი საჭიროდ სკრობს სრულიად
აკრძალული იქმნეს სპირტის უაქცი-
ზოთ დათმობა, ზოგი კი წინააღმდეგი

მოითხოვს. რადგანაც ეს საკითხი ჩვენც
შეგვეხება, ხოლო კავკავის თათბირზე
დასწრების საშუალება არა გვაქვს სი-
შორისა გამო, ამიტომ კავკავის საიმ-
პერატორო სასოფლო-სამეურნეო სა-
ზოგადოებამ დაადგინა აღძრულ იქმ-
ნეს შუაღგომლობა მინისტრის წინაშე
ასეთივე თათბირის დანიშვნის შესა-
ხებ ქ. ტფილისში.

თუ დღევანდელი კრებაც იცნობს ასეთს
დადგენილებას თავისთვის მისაღებად,
გთხოვთ თქვენი დადგენილებით მხარი
დაუჭიროთ კავკავის საიმპერატორო
სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების
შუამდგომლობას.

კრება ადგენს: მხარი დაეჭიროს ად-
ნიშნულ შეამდგრმდობას.

ამის შემდეგ თავჯდომარე აცხადებს
თელავის თათბირს დახურულად. კრება
მადლობას უცხადებს თავჯდომარეს და
იშლება ლამის 10 საათზე.

ა. განკულაძე

მოხსენება ამერიკულ ვაზზე ვენახის გაშენების შესახებ კანეტში

კახეთს უახლოვდება მტერი, რომე-
ლიც მთლად გაუქმებას უქადის ვენა-
ხებს. ეს მტერი — ფილოქსერა, გვიახ-
ლოვდება ორის მხრიდან: ტფილისისა
და კაბალის მხრიდან, რომელიც მდე-
ბარებას ალაზნის მარცხენა მხარეს,
კავკასიონის უმთავრეს ქედის კალთებ-
ზე და რომელიც დასახლებულია იმე-
რეთიდან გადმოსახლებულებით. ამ
ორი ადგილიდან უფრო საშიშია კაბა-
ლი. საშიშია იმიტომ, რომ ალაზნის
გაღმა და გამოღმა მდებარე სოფლებს
შორის მუდმივი მისვლა-მოსვლაა, ამი-

ტომ შესაძლებელია რომ სხვადასხვა
მასალასთან ერთად ალაზან გაღმა მხრი-
დან მივიღოთ ფილოქსერაც.

უკანასკნელს ორ წელიწადს საფი-
ლოქსერო კომიტეტი ენერგიულად
ებრძვის ფილოქსერას კაბალსა და სხვა
ადგილებში, ახალსოფელსა და მიხალოვ-
კას შუა — რადიკალურის საშუალებით
გოგირდ-ნახშირბადით.

მაგრამ ვის შეუძლიან თავდებად და-
უდგეს იმ გარემოებას, რომ ფილოქსე-
რა მთლად იქმნება მოსპობილი და რომ
იმერეთიდან გადმოსახლებულნი ხელ-

ახლად არ შემოიტანენ უჩუმრად ფესვიანს ვაზებს და მასთან ერთად ფილოქსერასაც. მოსალოდნელია ისიც, რომ კახეთის რკინის გზის გაყვანის შედეგ სწრაფად მოედოს ალაზნის ხეობას ფილოქსერა ტფილისის მხრიდან. ასეთ მდგომარეობის გამო თავისთვალი იბადება დიდმნიშვნელოვანი საკითხი, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქმნენ მიღებული ვენახების დასაცავად კახეთში. ბაკურულისი და სხვა სოფლების მცხოვრებთა შორის ვიღოც აგრონომს გაუვრცელებია ხმა, ვითომ კახეთის ფილოქსერისაგან არავითარი საფრთხე არ მოელის, რადგანაც კახურ ვაზს ფილოქსერა არ უჩნდება და თვით ნიადაგიც ისეთის თვისებისაა, რომ მასში ფილოქსერა ვერა სძლებსო. ეს ხმა გავრცელდა როგორც მემამულეთა, აგრედვე გლეხთა შორის. სამწუხაროდ მე შემთხვევა არა მქონდა მენახა ის აგრონომი და გამეგო, თუ რაზე აფუძნებს იგი თავის აზრს.

ფილოქსერასთან საბრძოლველი საშუალება როგორც მოგეხსენებათ აღდენიმეა: 1) წყალის გუბეს აყენებენ მთელს ვენახში და ისე ახრჩობენ ფილოქსერას; 2) ვაზს აშენებენ ქვიშარ ნიადაგზე და 3) კულტურული საშუალება — გაშენება ვენახისა ამერიკულს ვაზზე.

უკანასკნელის გარდა ყველა ამ საშუალებებს იქვთ მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა, იმარჩება ადგილობრივ განსაკუთრებულ პირობების დროს და ფართოდ მათი ხმარება კახეთში შეუძლებელია. გვრჩება მხოლოდ ერთად-ერთი უტყუარი საშუალება — გაშენება ვენახებისა ამერიკულს ვაზზე.

ცნობილია, რომ *vitis vinifera*-ს გვარის ვაზის მომეტებული ჯიში იღუპე-

ბა ფილოქსერისაგან და მგონი ჯერ-ჯერობით არ არის აღმოჩენილი ფილოქსერის წინააღმდეგ გამძლე ჯიში. იძახიან ვითომ რომელიღაც იმერეთის ვაზის ჯიში უძლებს ფილოქსერასაო, მაგრამ ამის შესახებ ჯერ-ჯერობით არავითარი საბუთი არ მოიპოვება.

ამერიკული ვაზი, როგორც ყურძნის მომცემი, არავითარს ინტერესს არ წარმოადგენს კახეთისათვის იგი საინტერესოა მხოლოდ ფილოქსერის წინააღმდეგ გამძლეობით და აგრედვე იმით, რომ მასზე შეიძლება ემყნოს კახური ან ევროპიული ვაზი და გაშენდეს ვენახი ფილოქსერის შემოსევის დროსაც.

ფილოქსერას ყველა ამერიკული ჯიშები ვერ უძლებენ. საფრანგეთის სწავლულებმა ამოირჩიეს მხოლოდ რამდენიმე ჯიშის ვაზები, რომლებზედაც დამყნობით ახლდება ვენახები იქ, სადაც ეს საჭიროა. ამასთანავე ყველა განსაკუთრებულის თვისების ნიადაგებისათვის ნერგიც განსაკუთრებით შესაფერი უნდა იყოს, რომ კარგი შედეგი მოჰყვეს. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ ცდა ამერიკულ ვაზის შესახებ კავკასიში ჯერ პირველ დაწყებით საფეხურზეა. ცოტად თუ ბევრად ვრცელი დაკვირვება არ მოიპოვება აქ არსად და თუ ვინმე ისურვებს ამერიკულ ვაზზე ვენახის გაშენებას, როგორც მაგალითად მე, ვარდება უხერხულს მდგომარეობაში. საერთო საქმის გამოსარკვევად ნება მიბოძეთ გაგიზიაროთ ჩემი დაკვირვება, რომელიც გამოვიტანე მე საცდელად გაშენებულ ვენახებიდან 1901 წ. გრაფ შერმეტივეს მამულში კარდანახსა და ვეჯინში. ეს ჩემი დაკვირვება და ცი-

ფირები, რომელიც ქვემოთ მომყავს, არა როგორც უკანასნელი გადაწყვეტილი სიტყვა, არამედ როგორადაც მასალა სხვა წყაროებიდან მიღებულ მასალასთან ერთად გაგვიაღვილებს, ვფიქრობ, კითხვის გამოკვლევას.

საცდელი ვენახები გაშენებულია განგებ სხვადასხვა გვარ, ტიპიურს ნიადაგებზე. თითო საცდელ ნაწილზე ირგვებოდა სხვადასხვა ნერგზე დამყნილი ვაზი. ასეთ დარგვას მიზნად აქვს, გამოარკვიოს როგორი ექნება ვაზს ზრდა, ხლოროზის წინააღმდეგ გამძლეობა, მსხმოიარობა და ცალკ-ცალკ ყაველა ჯიშიდან როგორი ლვინო მიიღება, ან ლირსებით რომელ ნიადაგისთვის უფრო შესაფერია ნერგი და სახეიროა ნამყენი ეკონომიკურის მხრივ. სამწუხაროდ არ შემიძლიან წარმოგიდგინოთ საცდელ ვენახების ნიადაგის ანალიზი. უკვე დიდი ხანია რაც ნიადაგის ნიმუშები მაქს გაგზავნილი საქარის სანერგეში ანალიზისთვის, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიმიღია, რის გამოც გულწრფელი დაწესებულია როგორი გვარი.

ორ საცდელ ვენახისათვის დამყნილი ვაზები მივიღეთ კონდოლის სანერგელან უფასოდ. ერთისათვის ვიყიდეთ კონდოლისავე სანერგეში თითო ცალი 5 კ., დანარჩენს ადგილში დარგულია გრაფ შერემეტივის საკუთარ სანერგელან მიღებული ნერგი. სულ გაშენებულია სოფელ კარდანახში 5 და ვეჯინში 2 საცდელი ვენახი.

სოფელი კარდანახი

დიდი ზეგარი. ნიადაგი მოშაოა, თიხნარი, მძიმე და ნოყიერი. ორ საცდელ ვენახაში, რომლებშიც დარგულია კონდოლის სანერგელან მიღებული ვაზი, გაშენებულია 2×2 არშინზე. სა-

ნაყოფე რქა ცალმხარეზეა გაწვენილი მავთულზე და გასხლულია 8—9 კვირიზე.

პირველ კორომში არის კახური ჯიშები: რქაწითელი და საფერავი დამყნილი რიუჟესტრის დიულოზე და დარგული 1907 წ., გვერდით დარგულია ორი რიგი დაუმყნობელი ვაზებიც შესადარებლად. ვაზი იზრდება აქ მეტად ლონივრად, ასე რომ მესამე წელიწადს იძულებული ვიყავი გამესხლა როგორც დამყნილი, ისე დაუმყნობელი ვაზი სანაყოფედ. ხლოროზი აქნიბამდისინ არ შეგვიძნევია. 1910 წ. მივიღეთ პირველი მოსავალი, რომლიდანაც დავაყენეთ ლვინო. 202 რქაწითელის ვაზიდან მივიღეთ 25 ვედრა ლვინო, რაც დესეტინაზე, თუ ვიანგარიშებთ 5400 ვაზს, შეადგენს 667 ვედრას. საფერავი ცალკ არ გვაინგარიშნია, რადგანაც პროილის პირველ რიცხვებშივე სიციფის გამო დაზარალდა

ყურძნის წვენის სიტკბო ბაბოს საზომით აღმოჩნდა: რქაწითელისა $21,2\%$, საფერავისა 21% , დაუმყნობელ ვაზებისა თეთრისა $21^{1/2}\%$. საფერავის წვენის ფერი იყო ბაცი. 1911 წ. დაიკრიფა მეორე მოსავალი. ეს წელიწადი ცუდი იყო საზოგადოდ მევენახეობისათვის, ამას დაერთო სეტყვა, რომელიც მოვიდა მარიამბისთვეში დამე და წახლინა $1/4$ მოსავლისა. მიუხედავად ამისა მოსავალი მიინც კარგი მივიღეთ. 199 რქაწითელის ვაზიდან მივიღეთ $28^{1/4}$ ვედრა, რაც ერთ დესეტინაზე შეადგენს 770 ვედრას. 201 საფერავის ვაზიდან მივიღეთ 18 ვედრა, ამის კვალობაზე ერთ დესეტინაზე მოვა 480 ვედრა. ამას უნდა მიემატოს მოსავალის $1/4$, რომელიც სე-

ტყვამ წაახდინა. რქაშითელის, საფერავის და საკონტროლო ვაზის წვენის სიტკბო უდრიდა ბაბოს საზომით 180%. საფერავის წვენისა და შემდეგ ღვინის ფერი მეტად ბაცი იყო.

1911 წ. გასულს ოდესის მელვინეობის სადგურს გავგზავნე საანალიზოდ 1910 წ. მოსავლის ღვინო, რომელიც მიღებული იყო დამყნილ და დაუმყნობელ ვაზებიდან. შედეგი მივიღეთ ასეთი:

	დაუმყნელი.	დამყნილი.
შედარებით სიმკვრივე.	0,9867	0,9915
ალკოგოლი წონით .	10,96	10,74
ტანით .	13,82	13,44
სიმუვები საერთოდ .	5,40	5,73
სუბუქი სიმუვები .	1,39	1,56
მძიმე სიმუვები .	3,66	3,78
ღვინის მარილი .	1,590	0,818
მილი. კისლოთა .	1,18	1,99
გლიცერინი	7,474	6,687
ექსტრაქტები	10,896	14,776
ნაცარი	1,9 6	2,956
შაქარი	0,93	1,26
100 ნაწილ ალკოგოლ-ზე წონით გლიცერინი მოდიოდა . .	6,82	6,23
ალკოგოლი მიემართებოდა წონით ექსტრაქტს	10,10	7,94
ალკოგოლი და სიმუვე ერთად იყო . .	17,22	18

ქიმიკოს გერნეტის დასკვნა: „ზემოთ მოყვანილ ცხრილიდან სჩანს, რომ არსებითი განსხვავება დამყნილ და დაუმყნობელ ვაზების ღვინოების შორის გამოიხატება იმაში, რომ პირველი უფრო მოსქოა, შეიცავს მეტს ექსტრაქტიულს ნივთიერებებს და შედარებით მეტ ნაცარს“.

მეორე კორომი დაშორებულია პირველისგან რამდენიმე საჟენით. დარ-

გულია 1909 წ.. დამყნილი ვაზები გამოგზავნილია უფასოდ კონდოლის სანერგედან. რქაშითელი, საფერავი და მწვანე დამყნილია: რუპესტრის დიულოზე, რიპარია \times რუპესტრის 101—14, რიპარია გლაბრ, რუპესტრის \times ბერლანდიერი 301ა. ტბერლანდიერი \times რიპარიაზე 420ბ. ვაზის ზრდა ისეთივე იყო, როგორიც პირველს კორომში. ხლოროზი აქნობამდისინ არ შეგვიმჩნევია. ნამყენ ადგილების ზემოდან ზოგიერთ ვაზებს ემჩნევა შესქელება. ამის შესახებ დაკვირვება კვლავაც გრძელდება. 1911 წ. ვაზი სანაყოფედ სულ არ გავსხალით, გავსხალით უფრო ღონიერი ვაზები. მოსავალი მივიღეთ თეთრი ყველა ჯიშებიდან ერთად არეული 189 ვაზიდან 15 $\frac{1}{2}$ ველრა, რაც დესტინაზე შეადგენს 449 ვედრას; ამას უნდა მივუმატოთ $\frac{1}{4}$ დასეტყვილი. საფერავი ცალკე არ დაკრეფილა. სიტკბო უდრიდა ბაბოს საზომით 17 $\frac{1}{4}$ %. ცალკე ბუდეშურის წვენი შეიცავდა 150%. ბუდეშურის სიტკბოს ასეთი სიცოტავე აისხება ბევრი მსხმოიარობით; თითო ვაზზე ითვლებოდა 40-მდე მტევანი. რადგანაც ბუდეშურს ასე ცოტა სიტკბო აქვს, ამიტომ იგი წინდახედვით უნდა გაშენდეს ამერიკულს ვაზზე.

მესამე კორომი. იმყოფება სოფელ კარდანაში და ჰქვიან გულიანთ-ზვარი. ვაზი დარგულია 1908 წ. საკუთარ სანერგედან. დამყნილია რუპესტრის დიულოზე საფერავი და თეთრი ჯიშები, რომელთა შორის რქაშითელი შეადგენს 95%. ნიაღავი თიხნარ-კირნარევია, ლონე გამოლეული დიდი ნნის ყოფნით ვაზ ქვეშ. დარგულია $2 \times 1\frac{1}{2}$ არშინზე; დაკავებულია მავთულზე. ისევე ისხვლება, როგორც პირველი თრი

საცდელი ვენახი. ვაზის ზრდა კარგია, მხოლოდ ისეთი კი არა, როგორც „დიდზვარში“. ხლოროზი აქნობამდინ არ შეგვიძინევია. 1911 წ. პირველად მივიღეთ ამ აღგილიდან მოსავალი: მოსავალი სრული არ იყო, ამიტომ ღვინის მოსავლის რაოდენობა არ გამოგვიანგარიშნია. სიტკბო უდრიდა 180% და არაფრით არ განსხვავდებოდა ღაუმყნობელ ვაზის წევნისაგან ღვინო საცდელად ინახება მარანში.

მეოთხე კორომი იმყოფება სოფელ ვეჯინში. ნიადაგი მწირია, მშრალი, თიხა-კირნარევი, ალაგ-ალაგ ცარცინი. დარგულია თებერვალში 1910 წელს დამყნილი ვაზები ნაყიდი კონდოლის სანერგეში. ნამყენი აღგილობრივი ჯი-

შებია: რქაწითელი, მწვანე და საფერავი; საძირე ვაზები არიან: 420 ბ., რიპარია გლიცერი, რიპარია გლუკო, რიპარია რუპესტრის 101—114, 3306, 3309, ბერლანდიერი რუპესტრის 301 ა და რუპესტრის დიულო. დარგულია 2X11/2 არშინზე; დაკავებულია მავთულზე; ისევე ისხვლება როგორც პირველი საცდელი ვენახები.

პირველ წელიწადს ყველა ვაზის ზრდა თითქმის ერთნაირი იყო. განიჩევადნენ ის ვაზები, რომლებიც დამყნილი იყვნენ 101—14-ზე თანაბარის ზრდით. მეორე წელიწადს ამ საცდელმა ვენახმა მიიღო სულ სხვა სახე: განადა ძლიერ ბევრი ხლოროზი. მარიამობისთვეში მოვახდინეთ გამოკვლევა. შედეგი გამოიხატა შემდეგი ციფრიებით:

	420, ბ.		გლუკ.		გლაბრ.		101, 14		3309		3306		301 ა.		დიუ-ლო	
	კ.	გ.	კ.	გ.	კ.	გ.	კ.	გ.	კ.	გ.	კ.	გ.	კ.	გ.	კ.	გ.
რქაწითელი . . .	1	23	2	18	4	20	5	19	19	5	9	15	4	20	1	22
მწვანე	1	24	—	23	1	22	—	23	17	7	5	19	—	17	6	15
საფერავი . . .	—	17	—	22	1	23	5	19	12	12	3	21	—	21	6	3
3 როცენტებით . .	2	64	2	64	6	65	10	61	48	24	17	55	4	58	13	40
	3,03	96,97	3,08	96,97	8,15	91,55	14	86	66,86	33,34	23,81	76,39	6,45	93,55	24,52	75,48

ზემოდ მოყვანილ ცხრილიდან სჩანს, რომ ხლოროზის წინააღმდეგ გამძლე ყოფილა 420 ბ და გლუკი, ხოლო 3309 და დიულო ხლოროზით ხდებიან ავად. ამ პირველი ცდით კიდევ არ შეიძლება გამოვიყანოთ დასკვნა იმის შესახებ, თუ ესა თუ ის ჯიში ნერგისა რამდენად შეეფერება კირპარბ ნიადაგინ აღგილებს. დაკვირვებას მოვახდენთ შემდეგ შიაც. ეხლა მხოლოდ შეგვიძლიან

გამოვსთქვათ სურვილი, რომ 3309 არ იქნეს გავრცელებული კირპარბ ნიადაგზე.

მეხუთე კორომი გაშენებულია იმავე ვენახში, მეოთხე საცდელი ვენახის გვერდით. ვაზი დარგულია 1912 წ. მარტში არა ორმოებში, არამედ პატარა ორკაბის 1 აშ-უალებით (კოვეჩ ლაპკოშ). ამგვარად ვაზის დარგვა მე პირველადა ვცადე. ცერჯერობით ვაზი იზრდება

თანაბრად, არცერთი არ გამხმარა. ვაზზები საკუთარ სანერგიისაა. დამყნილია საფერავი დიულოზე.

მევექვე კორომი გაშენებულია კარდანახის ვენახში. ნიადაგი ნარიყია, შესდგება ქვიშა და მსხვილი ქვისაგან, რომელსაც ცოტა ლამიც ურევია დარგულია 1910 წ. საფერავი დამყნილი დიულოზე. ვაზი იზრდება მეტად ცუდად, ბევრი გადახმა. მიზეზი ნიადაგის სრმულად ერთ-ერთს საზოგადოების აგრძნომს სპეციალურის მომზადებით. სანერგეში უნდა იმყოფებოდეს დახელოვნებული მებაღე მუდმივი სამუშაოს შესასრულებლად და მუშების ზედამხედველად. ამავე სანერგეში უნდა მოეწყოს გიბრიდიზაცია ამერიკულ ვაზზების აღილობრივ ჯიშებთან ჯიშნარევების (გიბრიდების) მისაღებად. ყოველწლივ უნდა მზადდებოდეს იმდენი ნერგი, რამდენიც ყოფილი უკეთა სოფელში ისეთ პირების მისაცემად, რომლებთაც შეუძლიანთ დაუკვირდნენ დარგულს ვაზებს და მათგან მიღებულს ღვინოს. საზოგადოდ საჭიროა წავახალისოთ მოქლი კახეთის სოფლის მცხოვრებნი. განზრახულ სანერგის მოქმედება უნდა შეთანხმებულ იქმნეს კონდოლის სახაზინო სანერგის მოქმედებასთან. მხოლოდ შეთანხმებულის მუშაობით შეიძლება გამორკვეულ იქმნეს, თუ რომელი ნერგი უფრო შეეფერება ამა თუ იმ ნიადაგს და სახეიროცაა. მაშინ თვით ფილოქსერაცია აღარ იქნება საშიში კახეთისათვის.

მამულში ნერგის დასამზადებლად გაშენებულია სანერგე ამერიკულ ვაზზებია: დიულო, 301 ა, 420 ა, 420 ბ, 101—14, შასლა X ბერლინდიერი. უკანასკნელი ჯიში შესაფერია ყოველგვარ ნიადაგისათვის, განსაკუთრებით კი მწირი ნიადაგისათვის, რადგანაც იძლევა კარგს მოსავალს და კარგის ღირსების ღვინოს. სამწუხაროდ ფილოქსერის საწინააღმდეგო თვითება ამ ჯიშისა საკმარისად გამორკვეული არ არის.

როგორც ზემოთაც ვსთქვი, კახეთში არავითარი გამოცდა არ არის ამერიკულ ვაზის შესახებ. მიმტემ საჭიროა ეხლავე გაშენებულ იქმნეს ამერიკულ ვაზზების სანერგე, ამ სანერგეში უნდა დამზადდეს სხვადასხვა გვარ კომბინაციით ვაზზები, საცდელ ვენახებისათვის. სანერგეს გაშენება უნდა იკისროს ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ ერთ-

ერთ კახეთის სოფელში, რომელშიაც მევენახეობა განვითარებულია. ამ საქმის ხელმძღვანელობა უნდა დაეკისროს ერთ-ერთს საზოგადოების აგრძნომს სპეციალურის მომზადებით. სანერგეში უნდა იმყოფებოდეს დახელოვნებული მებაღე მუდმივი სამუშაოს შესასრულებლად და მუშების ზედამხედველად. ამავე სანერგეში უნდა მოეწყოს გიბრიდიზაცია ამერიკულ ვაზზების აღილობრივ ჯიშებთან ჯიშნარევების (გიბრიდების) მისაღებად. ყოველწლივ უნდა მზადდებოდეს იმდენი ნერგი, რამდენიც ყოფილი უკეთა სოფელში ისეთ პირების მისაცემად, რომლებთაც შეუძლიანთ დაუკვირდნენ დარგულს ვაზებს და მათგან მიღებულს ღვინოს. საზოგადოდ საჭიროა წავახალისოთ მოქლი კახეთის სოფლის მცხოვრებნი. განზრახულ სანერგის მოქმედება უნდა შეთანხმებულ იქმნეს კონდოლის სახაზინო სანერგიის მოქმედებასთან. მხოლოდ შეთანხმებულის მუშაობით შეიძლება გამორკვეულ იქმნეს, თუ რომელი ნერგი უფრო შეეფერება ამა თუ იმ ნიადაგს და სახეიროცაა. მაშინ თვით ფილოქსერაცია აღარ იქნება საშიში კახეთისათვის.

ნებას მიცემ ჩემს თავს რამდენიმე სიტყვა ვსთქვა კერძო სანერგეების შესახებ. უკანასკნელ დროს ემჩნევა სურვილი ამერიკულ ვაზის სანერგეების გაშენებისა. ეს მოვლენა ჩითვლებოდა სასიამოვნოდ, რომ მას ხელს ჰქილებდნენ მომზადებულნი პირნი. სამწუხაროდ ეს ასე არ არის. მარტში მე შემთხვევით შევხვდი ერთს „სპეციალისტს“ და გამოველაპარაკე. ვეკითხები: — სამყნობლად რომელი ჯიშები გაქვთ თქვენ? — „რიუპესტრის, მი-

პასუხა. — კიდევ? — „დიულო“. — იქნება მონტიკოლაცა გაქვთ? — სიჩუმე. გამოდის, რომ ერთი ჯიში სამის სახელით წოდებულ სხვადასხვა ჯიშათ აქვს მონათლული. თუ ჩვენში სანერგების გაშენებას ხელს მოჰკიდებენ მოუმზადებელი პირნი, ისინი სარგებლობის მაგიერ დიდს ზიანს მოუტანენ მცხოვრებთ და ამის გამო უკანასკნელთა

თვალში ნდობა დაეკარგება ამერიკულს ვაზს. საჭიროა სანერგების გაშენებას ხელი მოჰკიდონ მომზმდებულმა პირებმა.

დასასრულ ნება მიბოძეთ წარმოგიღებინოთ სადეგუსტაციით დამყნოლ ვაზებიდან ჩვენს ვენახებში მიღებული ღვიანო 1910 და 1911 წ. წ.

პ. ავერკინი

კონდილის სანერგებან დასკვნილი

შემთხვევით შემეძლო გაგება იმისი, რომ პირველი საცდელი სანერგე ამერიკულ ვაზებისა კახეთში 1900 წელს იყო გაშენებული, იქნება ამაზე წინადაც იყო, მაგრამ მე არ ვიცი. ამ დროის შემდეგ კი კახეთში ყოველ წლივ იმართება 1-დან 4-მდე სანერგე ამერიკული ვაზებისა, ხოლო მდგომარე წელს ეს რიცხვი 7-მდე ავიდა, ისე რომ დღეს კახეთში სულ 30 საცდელი სანერგე გვაქვს სახელმწიფო ხარჯით გამართული, საღაც ამერიკულ მწარე ვაზებზე და მათ ჯიშნარევებზე (გიბრიდი) აღგილობრივი ჯიშის ვაზებია ნამყენი და ნახარები.

1909 წლამდე, როგორც შეგროვილი ცნობებიდან სჩანს, ამ სანერგებში საძირე ვაზად სულ რეპესტრის დიუჭად არის ნახმარი, თუმცა შიგადაშიგ ძირიდან ამოტანილ ნამხრევებით სხვა ჯიშებიც ჩანან, როგორც მაგალითად რიპარა ჯუპესტრის 101—14, 3306, 3309, რიპარა გლუარ და გლან. მაშასადამე, მსხმოიარობა შემეძლო შემემოშებინა მხოლოდ რუპესტრის დიულოზე დამყნილ ვაზებისა, რაღაც დანარჩენი ჯიშის საძირები თითოორო-

ლა არიან და ისინიც, ალბალ, შემთხვევით მოჰკოლიან.

1909 წლიდან კი თითოეულ სანერგესათვის სავალდებულოდ არის გამხდარი დასაჩრდავ მასალის წინდაშინვე ცნობაში მოყვანა, რომელ საძირებზე რომელი ტკბილი ვაზია დამყნილი კახური ან ევროპიული და მხოლოდ ისე ჩაყრა და მოშენება ამ ნამყენებისა. სამწუხაროდ ჯერ იმდენი დრო არ გასულა მას აქეთ, რომ ნამყენი ვაზების მსხმოიარობა შემოწმებულიყოს შეუცდომელად. დღეისთვის ამერიკული ვაზების შესახებ შეგვიძლიან ვაღვიაროთ მხოლოდ ის, რაც თითოეულ მათ ჯიშე კვაქვს შემჩნეული.

1) რუპესტრის დიულო. ეს ჯიში ყველგან არის ცნობილი; ითვლება გამოსადეგად ყველაგვარ ნიადაგებისთვის; ტანს იყრის დიდს, მხოლოდ იბარდება თანაბრად და ამის გამო არცერთი რქა არ უმსხვილდება ზედმეტად, რომ სანამყენე მასალა ბლომად აიჭრას.

ყოველი ტკბილი ვაზი დამყნილი ამ ჯიშზე აღვილად იზრდება, ისე რომ რაც შეიძლება გრძლად თხოულობს გასვხლას. ამ ჯიშზე გაშენებული ვენა-

ხი 400-დან 800-მდე ვედრა ღვინოს იძლევა დესეტინაზე, თითოეულ ვაზზე 14 დან 25-მდე მტევანი ითვლება ზომიერად დამთავრებული.

2) რიპარია × რუპესტრის 101-14.
უარგობს ნესტიან ნიადაგში. როგორც ეტყობა, ერთდაიგივე პირობებში, რუპესტრის დიულოს არ ჩამოუვარდება ზრდაში, მასზე ნაკლებად იბარდება და ამიტომ მეტს რქას იძლევა სანამყენთ ასაჭრელს. ყველა სანერგებებში ამ ჯიშზე დამყნილი ვაზები ძალიან არიან დათამაშებულნი, ხოლო როცა სხმირიარობაში ჩავარდებიან, არ ვიცი რამდენად აიტანენ მაშინ გოლვას ან მშრალ ნიადაგს.

3) რიპარია × რუპესტრის 3306.
გარეგნობით ცოტათი განსხვავდება 101—14-საგან, ხოლო რქას სანამყენეთ ასაჭრელს თავად მეტს, თორე ნაკლებს არ იძლევა პირველზე. დამყნილი ამ ჯიშზე ტკბილი ვაზი მხიმედ შედის ზრდაში, მაგრამ მაინც საკმარისად იზრდებიან ყველანი. ბესარაბიაში ეხლა ამ ჯიშს ხმარობენ საძირე ვაზებათ.

4) რიპარია × რუპესტრის 3309.
ეს ჯიშნარევი შეიცავს ყველა იმ ლირსებებს, რაც ზემოთა ორ ჯიშნარევზე ვსთქვით. გარეგნულად იგი უფრო 3306-ს წააგავს, ხოლო ზრდა ნაკლები აქვს და ამიტომ ნაკლებ რქას იძლევა სანამყენეთ. ბესარაბიაში უფრო ეს ჯიშნარევია გავრცელებული. თითო ვაზს ამ მწარეზე დამყნილს 16-დან 26-მდე სრული მტევანი გამოაქვს და ამწიფებს.

5) ბერლანდიერი × რუპესტრის 301ა
ამბობენ გარგობს მშრალს კირნარევ და ქვიან ნიადაგებში. რქა წლიოკი

ეზრდება და ამის გამო ცოტა მასაღა იღის სანამყენე. ვფიქრობ, ამ ჯიშნარევის გაშენება სასარგეალო არ უნდა იყოს, ხოლო უნდა კი იცადოს. ამ მწარეზე დაბყნილი ტკბილი ვაზი ხშირად სუსტობს ზრდაში.

6) ბერლანდიერი × რიპარია 420ა.
იზრდება კარგად, ხშირად ზომაზედ მეტადაც. სანამყენე რქას ისე ბლომად იძლევა, როგორც 101—14, ზოგჯერ უფრო მეტსაც. ამ მწარეზე დამყნილ ტკბილ ვაზს ზრდა ლონიერი აქვს. ვარგობს ნესტიან კირნარევ ნიადაგებში. ბოლგარიაში და იტალიაში უფრო ამ მწარეს ხმარობენ საძირე ვაზად.

1) ბერლანდიერი × რიპარია 420ბ.
ამ ჯიშნარევს ზრდა ნაკლები აქვს, ვიდრე 420ა ს და რქასაც ნაკლებად იძლევა. მასზე დამყნილ ვაზს ზრდა საშუალო აქვს, ზოგჯერ უფრო ნაკლები.

8) რიპარია გლუარ. ითვლება გამოსაღევად სხვადასხვა გვარ ნიადაგებისათვის, გარდა მშრალ კირნარევ ნიადაგებისა. ყლორტი ხშირად სამი საუენი ეზრდება სიგრძით, ხოლო სანამყენე რქა კი ცოტა აღის. ამ ჯიშზე დამყნილ ვაზს ზრდა ზომიერი აქვს, ხან კი უფრო ლონიერად იზრდება.

9) რიპარია გრანდ გლაბრ. გარეგნული სანახაობით რიპარია გლუარს მოგვაგონებს. ყლორტები ეზრდება ისეთივე გრძელი, ხოლო რქა წლიოკი კეთდება და სანამყენეთ გამოსაღევი ძან ცოტა გამოდის. ვფიქრობ სასარგებლო არ უნდა იყოს მაგრე რიგად ამ ჯიშის გაშენება, მაგრამ მაინც ურიგო არ იქნება ვცადოთ.

ზოგიერთ ჩვენ სანერგები წელს ჩვეულებრივი ზომის რა უნდა აჭრილიყო და ვფიქრობდი აღებული მასალის რაოდენობა გამეზომა და სავსებით გამომეკვლია, მაგრამ საუბედუროდ აპრილის ყინვებმა ზრდა შეიჩერეს და ცშიშობ, რომ განხრახვას ვერ ავისრულებ.

კახეთში ბევრი სხადასხვა გვარი ნიადაგია. არიან კირქარბი ნიადაგები, მძიმე თიხნარები, ქვიშნარები, რკინარევნი, ასპიდის ნიადაგები. ზოგან ნიადაგის წყალია ახლო. ყველა ამ ნიადაგებზე, ჩემის ფიქრით, უნდა გაშენდეს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მწარე ვაზებზე დამყნილი ვენახები, თუ გვინდა რომ ჩვენი საკუთარი დაკვირვებით უტყუარი რამ დასკვნა გამოვიყვანოთ.

ხალხში გავრცელებულია ხმა, რომ ზოგიერთ ამერიკულ ვაზზე ნამყენი ვენახი მდარე ღვინოს იძლევათ. ნამდვილის შესამოწმებლიად საჭიროა ისეთი საცდელი ვენახები გაშენდეს, სადაც ყველა ზემოხსენებულ მწარე ვაზებზე არა ნაკლებ ასი ცალი ერთ-და-იგივე ჩვენებური ჯიშის ვაზი იქნება დამყნილი, რომ თითოეულ ჯიშის ნამყენიდან 10-15 ვედრა ღვინის მიღება შეიძლებოდეს გასაშინჯად და ყოველის მხრივ შესამოწმებლად.

რაკი აღარა ვეჭობთ რომ კახეთში რკინის გზა გამოვა, საჭიროა აქედანვე საჭმელი ყურძნის მომცემ საუკეთესო ჯიშის ვაზების მოშენებასაც შევუდგევ, რადგან აღრეულა შემოსავალი ასეთი ყურძნისა დიდი შედავათის მომცემი

იქნება ოჯახისათვის. ვფიქრობ რომ ასეთი ჯიშის ვაზები უნდა ემყნოს მწარე ვაზზე ათ-ათი ცალი მაინც, რაც თითოეული ჯიშიდან საკმარისი მასალა გვპონდეს გამოსაკვლევად.

ყველა ეს საცდელი ვენახები ბევრი სხვადასხვა მოსაზრების ძალით უნდა იყვნენ ქართულ სამეურნეო საზოგადოების განკარგულების ქვეშ და ზედამხედველობდეს მათზე გამოცდილი ინსტრუქტორი, რომელმაც ბოლომდე უნდა მიიყვანოს ყოველი დაწყებული ცდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დასკვნა ამ ცდებიდან მიღებული ისევ საეჭვო იქნება.

დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია დავუმატო რომ კონდოლის სანერგები ზემოთ ჩამოთვლილ ჯიშების გარდა თერთმეტი კიდევ სხვა ჯიშნარევი ვაზი გვაქვს, რომელთაც ფილოქსერა ვერას აკლებს, ხოლო მათ შესახებ არას ვამბობ იმიტომ, რომ თითოეული მათგანი ცოტაა რიცხვით. არის კონდოლის სანერგები აგრედვე ისეთი ამერიკული ჯიშებიც, რომელთაც საკმაო გამძლეობა არა აქვთ ფილოქსერის წინააღმდეგ, ხოლო ცდა ამათზე მხოლოდ მაშინ შეიძლება მოწყოს, თუ ქართული სამეურნეო საზოგადოება დარსებს კახეთში ერთს დას სანერგეს ნამყენი ვაზებისას და ხეხილებისათვისაც. ესეთი სანერგები შესამჩნევ სარგებლობას მოუტანს მთელ კახეთს, რადგან კარგ დასარგავ მასალასთან ერთად ხალხი აქედან რჩევა დარიგებასაც სწორებს მიიღებს.

ა. კუპეევი.

ამერიკული ვაზის კულტურა

(ვ. ი. ტიგბოს მოკლე მოხს. წერილი)

ჩემის დაკვირვებით, იმერეთში მურვედრ X რუპესტრის 1202, როგორც საძირე ვაზი, ძალიან კარგ შედეგს იძლევა. ფესვს ღონიერს იკეთებს მშრალს თიხნარევს ნიადაგებში და მოსავლის სიუხვით რუპესტრისაც კი სჯობნის; ყლორტი ცოტა გამოაქვს, არ იბარდება ძალიან და ამიტომ არც ნიადაგს ასუსტებს მაგრერიგად.

თიხნარევ ნიადაგში, სადაც ნიადაგის წყალია ახლო, მურვედრ X რუპესტრის 1202 უფრო კარგად ხარობს ვინემ რუპესტრის. თორმეტი წლის შემდეგ დარგვიდან ისეთივე ღონიერი რქა გამოაქვს, როგორც უწინ, როდესაც რომ რუპესტრის იგივე მიწაში და იმავ პირობებში 12 წელს შემდეგ თითქმის ვეღარა სძლებს და იღუპება. არ ეშინიან მურვედრ X რუპესტრის 1202 არც ნერიანი და არც კირქარი ნიადაგებისა; მხოლოდ მაღლობ ადგილებზე ყურძნის დამწიფებას აგვიანებს ისე როგორადაც რუპესტრისი. მსუქან ნოყიერ ნიადაგებში მურვედრ X რუპესტრისმა 1202 ყვავილის გაცვინა იცის, ხოლო იმდენად კი არა, როგორც რუპესტრის სცვივა.

რუპესტრის დიულო. რუპესტრის ყველა ჯიშებში, რომელნიც მრავალნი არიან რიცხვით, მეტადრე იმერეთში, მხოლოდ ეს ერთადერთი ჯიშია კარგი; დანარჩენები გროშად არ ვარგანას და უნდა ერიდოს კაცი მათ ვაშენებას. რუპესტრის დიულო კარგია განსაკუთრებით გამოფიტულ მშრალ

ნიადაგებში, რომელთაც ნერტი ქვემდებანა აქვთ უხვად. თუ თვით ნიადაგია ნერტჭარბი, რუპესტრის დიულო მაღლი იღუპება, როგორც ეს ეხლა უფროდაუფრო მტკიცდება ქუთაისის გუბერნიაში. რუპესტრის დიულომ ნოყიერ ნიადაგში ყვავილის გაცვინა იცის, ყურძნენს ვერ ამწიფებს კარგად, ღვინო დეგება დაბალი ღირსებისა.

რუპესტრის დიულო აღვილად უხმორდება ნამყენს, რქა ბლობად გამოაქვს და ამით უნდა აიხსნას, რომ იგი ძალიან არის გავრცელებული ქუთაისის გუბერნიაში, სადაც მას ნამყენებით მოვაჭრენი აქებენ ზელმეტად. რუპესტრის დიულოთი გამოწვეული ზარალი თანდათან მატულობს ქუთაისის გუბერნიაში, სადაც უკვე ბევრი ვენახი ამოვარდა მასზე დამყნილი და უფრო მეტს სრული უმოსავლობა მოელით.

რიპარია გლუარ. მშვენიერია მარტო ეს ჯიში. იქნება რომ იგი ყველაზე საუკეთესო ჯიშიც იყოს ნოყიერ, ფხვიერ, არა-მშრალ ნიადაგებისათვის, რომელზედაც იგი უხვ თანაბარ მოსავალს იძლევა და საუკეთესო ღვინოს აყენებს. რიპარია გლუარ აღრეული ჯიშია და ამიტომ მეტად კარგია ისეთ ადგილებისათვის, სადაც ყურძნენი იგვიანებს და ვერა მწიფდება კარგად. სამშუხაროდ ამ ჯიშისათვის გამოსადეგ ნიადაგს იშვიათად ვხვდებით მეტადრე მაღლობებზე, სადაც ღვინო საზოგადოდ მუდამ უკეთესი დგება,

ვიდრე დაბლობ ადგილებში. ნამყენი საქმარისად ადვილად ხარობს ამ ჯიშზე.

რიპარია X რუპესტრის 101—14.

ამაზედაც ისე ადვილად ხარობს ნამყენი, როგორც ჰემოსენებულ ჯიშე; ფეხს იკიდებს კარგად უფრო ისეთ ნიადაგში, სადაც რიპარია გლუარ ხარობს კარგად და უფრო ამაზე მდარე ნიადაგებშიაც.

რიპარია X რუპესტრის 3306. უფრო ნაკლებ პროცენტს იძლევა ნახარებს, ვიდრე 101—14, მაგრამ სამაგიეროდ ღონიერ ფეხსებს იკეთებს ისეთს ნესტიან თიხნარებში, სადაც რუპესტრისი ვერა სძლებს და იღუპება.

რიპარია X რუპესტრის 3309. ნახარებს, პირიქით, მეტს პროცენტს იძლევა (ცოტაზე ნაკლებს ვიდრე რუპესტრისი) და კარგადაც გვარობს მშრალს ნიადაგებში, სადაც ბევრი ქვა არ ურევია ნიადაგს. ეს საძირე ყვავილის გაყრეინებას არ იწვევს, ვენახი გაშენებული მასზედ დიდ ხანს სძლებს, მოსავალი იცის უხვი, ღვინო — კარგი. ლიდათ მოხარული ვარ რომ¹ ეხლა მანც, ამ ათის წლის ბრძოლის შემდეგ მის გულისათვის, თანდათან მეტ ფასში ვარდება ეს ჯიში ბესარაბიაშიაც.

რიპარია X ბერლანდერი. ამ ჯიშნარევსაც და ბერლანდიერიდან წარმომდგარ სხვა ჯიშნარევებსაც დიდი მომავალი აქვთ. თვით წმინდა ბერლანდიერი ძრიელ კარგი ჯიშია, ხოლო ცოტას იძლევა ნახარებს; ნამყენი პირველად ძნელად იზრდება მასზე, ხოლო ვენახი გამოდის მკვიდრი, თანაბრად მსხმოიარე, მოხავლიანი მუდამ და საუკეთესო ღვინის მომცემი.

„კლო-ეგურულის“ თიხნარევსა და უფრო სუბუქ ნიადაგებში საუკეთესოდ ხარობენ: რიპარია X ბერლანდიერი 420ა, რიპარია X ბერლანდიერი 33 გ, რიპარია X ბერლანდიერი 1508—11, შასლა X ბერლანდიერი 41 გ, რუპესტრის X ბერლანდიერი 301 ა და რუპესტრის X ბერლანდიერი 108.

თიხნარ ნიადაგებისთვის შემიძლიან დავისახელო კიდევ შემდეგი ჯიშნარევები: ბურისკუ X რუპესტრის 601; არამონ X რუპესტრის განზენ № 1 და ამ უკანასკნელ ღრის გავრცელებული № 9; რიპარია X რუპესტრის X ბერლანდიერი 106—8; კულენ 13205; ბურისკუ X რუპესტრის 93—5.

შესახებ იმისა თუ რომელი ადგილობრივი ვაზები უნდა იმყნოს ამერიკულ ვაზებზედ, ამისათვის კახელებს არაფერი ზრუნვა-ძიება არა სჭირდებათ. საფერავი და რქაწითელი უმშვენიერესი ჯიშებია და საჭირო არ არის რომ მათ სხვაც მიემატოს. საფერავი ერთნაირად კარგია ყველა ამერიკულ ჯიშებზე სამყნობლად. რქაწითელი კი ცოტა ჩამოურჩება, იგი ძალიან კარგად ხარობს მურვედრ X რუპესტრისზე. უნდა მხოლოდ იმყნოს ამ მწარეებზე მსხმოიარობის გამოსაცდელად და ღვინის ღირსების შესამოწმებლად.

ევროპიული ჯიშის ვაზებიდან საუკეთესო ჯიშებად ვთვლი ქუთაისის გუბერნიისათვის იმ ვაზებს, რომელიც ჩამოთვლილია ჩემს კატალოგში, და ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ არ უნდა იყვნენ ეს ჯიშები კახეთისათვისაც საუკეთესონი.

რაც შეეხება იმას, რა და რა ადგილის უნდა გაშენდეს საცდელი ვენახები, ამაზე მე ასე ვფიქრობ:

კახეთში, სადაც დიდად არ განსხვავდ-
დებიან ნიადაგები და მთელი ალაზნის
ველის რელიეფი ერთგვარია, საცდელი
ვენახები რიცხვით ნაკლები შეიძლება
იყოს, ვიდრე ქუთაისის გუბერნიაში.
საცდელი ვენახები უნდა გაშენდეს კა-
ხეთში მხოლოდ მაღლობ და დაბლობ
ადგილებზე, სუბუქ და მძიმე ნიადაგებ-
ზე, ნესტიან და კირნარევ ნიადაგებზე.

კახელები დიდი ნდობოთ არ უნდა
მოეპყრობი იმ ცდა-დაკვირვებას, რაც
ქუთაისის გუბერნიაში და თვით კახე-
თშიაც არის მომხდარი აქამომდე ჩე-
მის ფიქრით არცერთ სახელმწიფო და-
წესებულებას არა აქვს აქ ნამდვილი
უტყუარი მასალა შესახებ ფილოქსერი-
საგან განადგურებული ვენახების აღორ-
ძინებისა. დიდი სიფრთხილე ჰმართებს
მას, ვინც მოინდომებს ისარგებლოს იმ
რჩევა-დარიგებით, რომელსაც იძლე-
ვიან ბეჭედითი სიტყვით ვენახების აღო-
რძინების საქმეში თითქმის სათავეში
მდგარნი პირნი. მიწათ-მოქმედების დე-
პარტამენტის უკანასკნელ გამოცემე
ბშიაც კი ხშირად შეხვდებით ამ საქმის
შესახებ ისეთ დიდ შეცოლმებს, რომე-
ლიც არავის არ ეპატიება.

ဗိုလ်ချုပ်သည် မြန်မာလွှာတွင် အမြတ်ဆင့် ဖော်လောင်းစွဲ ဖြစ်ပါသည်။ မြန်မာဘ်ဘာ အမြတ်ဆင့် ဖော်လောင်းစွဲ မြန်မာ အမြတ်ဆင့် ဖော်လောင်းစွဲ ဖြစ်ပါသည်။

ამ მხრით მე ვუჩემ კახელებს გაა-
შენონ საცდელი ვენახები კახეთის სხვა-
დასხვა კუთხეში, მიხედვით რაიონის
აღვილმდებარეობისა, ჰავის, ნიადაგის

და ლვინის სიკეთისა და იგრედვე ვე-
ნახების იმ გამოსავლიანობისა, რომე-
ლიც სასურველია რომ ამ რაიონის
ვენახებსა ჰქონდეს.

მოშევავს აქ გეგმა საცდელად გასა-
შენებელ ნამყენ ვენახებისა თიხნარევ
გშრალს ნიადაგებზე, რომელთაც ქვა
ურევია ბლობად.

ԿՅԵԼԱ №№ 1 და 12 უნდა დაუმցնო-
ბეլո թվարյ ვაზი օպակ.

ევროპიული ვაზების არჩევაში კი კა-
ხელებმა უსათუროდ უნდა ისარგებლონ
იმ უტყუარი ცოდნა - გამოკვლევით,
რომელიც უკვე არის დასკვნილი მრა-
ვალი ცდა - დაკვირვებიდან შესახებ
ნამყენი ვაზების შეხორცებისა, მათი
მსხმოიარობისა, ყურძნისა და ღვრ-
ნის ღირსებისა. უნდა მიღებულ იქმნას
შედგვლობაში აგრძელვე ის რომ საძირკ

ვაზს დიდი გავლენა აქვს ვაზის სოკო-
სატკიფრით დაავადებაშიაც.

დასასრულ უნდა ვაღვიარო რომ
განადგურებულ ვენახების აღდგენა
ამერიკულ ვაზებზე მყნობით მეტად
როგორი საქმეა—იგი არის მთელი კლა-
ვიატურა, რომელსაც უნდა შეურჩიოთ
ხმა, კილო, ჰანგი და სხ., რომ სრუ-
ლი ჰარმონია მიიღოთ. საჭიროა არა
ნაკლებ 10 წლის დაკვირვება ვაზების
ზრდაზე, მათ მსხმიარობაზე, ყურძნი-

დან მიღებულ ტკბილზე, ღვინოზე,
რომ რაოდენიმე სიმკვიდრე მიეცეს იმ
საფუძველს, რომელიც გვინდა რომ მი-
ვიღოთ ამ დაკვირვებიდან ნამყენი ვე-
ნახების ასაშენებლად.

ამასთან მე სრულიად არ ვეხები მე-
ლინეობას, რომელიც აშინდელ კულ-
ტურის მიხედვით და ვაზის სხვადასხვა
სატკიფრების მიზნით, უნდა სწარმო-
ებდეს აგრძელვე სრულიად სხვა წესზე,
ვიდრე აქამომდე იყო დაუმყნობელ ვე-
ნახების დროს.

წერილები რედაქციის მიმართ

I

მ. ს. ბ-ნო რედაქციონი

გიგზავნით ერთ შუშაში რამოდენი-
მეს იმ ჭიებისას, რომელნიც აგერ თვე-
ნახევარი იქნება, რაც შესეყული არიან
ერთ დიდ ტყეს სოფელ დღნორისის
(ლეჩხუმის მაზრა) საბალახოებს და
სრულიად ანადგურებენ ყველაფერს.
ეხლა, როცა ტყეში ყველაფერი მოს-
პეს—ჩამოიწის ყანებისაკენ და სათი-
ბებისაკენ, რასაც ადგილობრივი
მცხოვრებლები აღელვებული უყურე-
ბენ და ელიან როდის იქნება ან ზე-
ციდან მოვლენილი რაიმე წყალობა
იმათ გასაწყვეტად და ან ადგილობრი-
ვი ადმინისტრაცია როდის მიაქცევს
მას ყურადღებას. ასე თუ კიდევ და-
ყოვნდა ორი კვირა ან მეტი და შესა-
ფერი ზომები არ იქნა მიღებული,
მთელს სოფელს შიმშილობა მოელის
თავის საქონლიანად. საქონელს რომე-
ლისაც უცაბედად საჭმელში ჩაჰვევა, გაი-
ბერა მუცელზე და მოკვდა. არის ცხრა
სული საქონელი ამნაირად ჯერ-ჯე-
რობით მომკვდარი. ამისათვის გთხოვთ

შეგვატყობინოთ რა საშუალება უნდა
მიიღოს კაცმა, რომ ამ უბედურებისა-
გან თავი დააღწიოს.

P. S. იმის პასუხი გთხოვთ თქვენი
პატივცემული უურნალის საშუალებით
მოგვაწოდოთ.

ე. ახვლედიანი

პასუხი.—ხსენებული ჭია იბადება
თესლიდან აპრილსა და მაისში. იზრ-
დება ხშირად გოჯზე გრძელი, იკვე-
ბება ფოთლებით და მკათაფის გასულ
რიცხვებში იწყებს პარკის კეთებას.
პარკდან ორი კვირის შემდეგ გამო-
დის პეპელა, რომელიც ენკენისთვე-
ლებინიბისთვეში ათავებს თესლის დებას.
ამ თესლებიდან ანუ კვერცხებიდან
მეორე გაზაფხულზე გამოდის ისევ ის-
ზემოხსენებული ეკლიანი ჭია და ხელ-
ახლად იწყობს თავის მავნე მუშაობას.
დედალი პეპელა ამ მწერისა დიდია,
ფრთები აქვს თეთრი ზედ შავი წინწკ-
ლებით დაფენილი, მამალი კი პატარაა
და წაბლის ფერი.

რადგან დედალ-მამალნი ესოდენ გან-
სხვავდებიან, ალბად ამიტომ ჰგონე-

ბიათ რომ ამ პეტელას თავისი ცალი არა ჰყავს და „neparnyj tselkovprjadъ“ დაურქმევიათ, რაც ჩვენებურად „მარტოხელა“ გამოდის.

ებრძვიან ამ მწერს ასე:—1) უფრო საფუძვლიან ბრძოლად ითვლება პეტელებისაგან დადებული თესლის ანუ კვერცხების მოგროვება და დაწვა. ფოთოლ-გაცვივნულ ხეს აღვილად ემჩევა ტოტებზე სადაც ეს კვერცხია დადებული.

2) თესლიდან გამოსულ ჭიას გაზაფხულზე, რომელიც ხარბად სჭამს ფოთოლს და მით დიდ ზარალს იძლევა. ებრძვიან ასე: შემოარტყამენ ხეს ღეროზე გარშემო ნამჯის ან თივის სარტყელს. ამ სარტყელში შედის ჭია პარკის გასაკეთებლად. დროგამოშვებით შემოაცლიან ამ სარტყელებს და სწვავენ, ხოლო ხეს ისევ ახალ სარტყელს უკეთებენ.

3) ჭია აცოცავს ხის ღეროზელ. ამიტომ ღეროზედ გარშემო წაუსვამენ ხალმერ ფისს, რომელსაც ეკვრის ჭია და აღვილი დასახოცი ხდება. ფისი უნდა ქალალდზე წაესვას და ისე შემოერტყას ხეს.

4) თითო-ოროლა ხეებს ამ ჭიის წინააღმდეგ შეიძლება პარიეს მწვანე ფხვნილითაც ეწამლოს. ორ მისხალ ფხვნილს ჩაყრიან ერთ ვედრა წყალში, დაურევენ კარგად და სასხურებელი აპარატით შეასხურებენ ხეებს. ეს ორი მისხალი ფხვნილი რომ ერთ ვედრა შაბიამნის წამალს გაერიოს, რომლითაც ვენახებსა სწამლავენ, უკეთესი იქნება.

პარიეს მწვანე ფხვნილი საწამლავია, უნდა საქონელი მოარიდოთ რომ არ შექამოს ამ წამლით შეასხურებული ფოთოლი ან ბალახი, თორემ მოკვდე-

ბა. აღამიანსაც, რასაკვირველია, სიფრთხილე ჰმართებს.

5) ზოგან ერობა, სოფლის საზოგადოება და სხვა დაწესებულებანი სხვადასხვა მაზარალებელ მწერ-ჭიებს ასე ებრძვიან: გამოაცხადებენ რომ ვინც ამდენსა და ამდენს ჭიას მოიყვანს დაჭერილს დასაწვავად, იმას ამდენი და ამდენი კაპეიკი მოეცემაო. დადიან დიდი და პატარა და ჰკრეფენ ამ ჭიებს რაც მეტი შეიძლება, რომ გასამრჯელოც მეტი მიიღონ.

რედ.

II

დიდად პატივცემულობა

რედაქტორო!

მე მწონდა ბეღნიერება წამეკითხა ხალხისათვის თქვენს პატივცემულ უურნალ „მოსავალში“ დაბეჭდილი წერილი შესახებ იმისა, რომ თქვენი რედაქტირი კისრულობს შუამავლობას სხვაფირმებთან ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ნაწარმოების გასაღებას. ეხლა ბევრმა მთხოვა გამეგო თქვენს რედაქტირიში, თუ როგორ გაიყიდებოლა წელს თხილი. გასრულებ მათ ნებას და გთხოვთ გაგვაგებინოთ — როგორ უნდა მოვაწყოთ ეს საქმე და მასთან წელს რა ფასებში შეუძლიან რედაქტირის თავისი შუამდგომლობით გავვიყიდოს თხილი. წელს შეგვიძლიან მოვაგროვოთ ჩვენს სოფელში 2000 ფუთი თხილი.

ამას დავსძენ შემდეგს, ბევრს (უმეტესობას) თავისი ნაწარმოები წინდა-წინვე აქვს გაყიდული გაჭივრების გამო, ბევრიც მოსავალს მოულოდნელად მოელის, რომ იმით დაიპუროს თავი და ცოლშვილი. უკეთუ წელს მოხერხდა თქვენის შუამავლობით გასყიდვა, სასურველია ვიცოდეთ, ფულს როდის მიიღებს სოფელი.

თხილი 20 ამ თვეს შემოსული იქნება და ამ დროისთვის საჭიროა ვიცოდეთ თქვენი პასუხი.

თქვენი პასუხის მოდიდანიში დრმად თქვენი პატივისმცემელი შევდები დრმალოზ ჯაველიძე

პასუხი. — უნდა რვაოდე გირვანქა თხილი ნიმუშად გასაგზავნად წარმოუდგინოთ რედაქციას. შემდეგ გამოირკვევა ფასი. ნიმუშის გაგზავნა საზღვარ გარედ ფოსტით ჯდება დაზღვევით 1 მან. 60 კაპ.

რედ.

III

ტრილისის ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას უმორჩილესად ვთხოვთ შუამდგომლობა გაგვიწიოს საღაც ჯერ არს, აღმოგვიჩინონ დახმარება კარდანახის მინდორზე მძვინვარე თაგვების წინააღმდეგ. ჯერ იყო და გაზაფხულ-

ზევე გაჩნდა თაგვი, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა ახალ ჯეჯილებს. მიღებული იყო ზომები ეგრედწოდებულ სტრინინის „წამლით, მაგრამ ვერაფერი უშველია. ახლა კიდევ დაწყებული გაზაფხულიდან უფრო გამრავლდა ეს თაგვი და მომავალში ვშიშობთ, ვაი თუ მთელი ნათესი შემოუგომისა გაანადგუროს სრულიად.

უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გულწრფელი თხოვნა და რადგან „სტრინინის“ წამალი ვერ მოქმედობს, სხვა საშუალება მოგვაშველოთ ეგრედწოდებულ ტიფოზის პრეპარატით.

ინ. დ. ფორაქაშვილი

პასუხი. — ვბეჭდავთ თქვენს თხოვნას ეურნალში, რათა მივაქციოთ მის შინაარს ყურადება პრესისაც და დაწესებულებებისაც, რომერთაც ჯერ არს.

რედ.

ეპეპარეობის გამოფენა მოსკოვში

პროგრამა და წესები გამოფენასათ.

ამა 1912 წლის სექტემბრის 20-დან 52-მდე ქ. მოსკოვში წიწათმოქმედების უფროს გამგის ნებადაროვით გამოფენის მომწესრიგებელი კომიტეტი, რომელიც შესდგება საიმპერატორო დონო-უბანია-თერგის, ხარკოვის, მოსკოვის, პოლტავის, სარატოვსკის, ცენტრალურ ვარშავის, ცენტრალ რიგის სამეცნიერო საზოგადოებათა და ლიფლიანდის საიმპერატორო ეკონომიკურ საზოგადოებისა და მიწათმოქმედების დეპარტამენტან არსებულს მეცნვარეობის კომიტეტის წარმომადგენელებისაგან, მართავს სრულიად რუსეთის მეცნვარეობის გამოფენას, რათა ცნობაში მოიყვანოს ყველა ის რაც რუსეთის მეცნვარეობას და მის ნაწარმოების ტეხნიკურად დამუშავებას შეეხბა და აგრესე ნათელ ჰყოს მთელი ის მნიშვნელობა, რომელიც ამ დარგს მეურნეობისას აქვს მთელ სახელმწიო ფოში.

გამოფენა შესდგება სამის განყოფილებისაგან:

1 განყოფილება. ცოცხალი ექსპონატები

ა. ჯიშიანი ცხვრები:

1) ცხვრები დაბადებული რუსეთში, მსხვილი ბერივანები წმინდა ჯიშიანი — ადგილობრივი ცხვრები ჩრდილოეთის მოკლეულდა (რომანოვსკისა, ნალინსკისა და სხვ.), გრძელკუდიანი (რეზიტელოვისა, სოკოლსკისა, ჩუშკა, ციგაისა და სხვ.), მსუქან-კუდა (ბუხარისა და ზოგიერთი კავკასიური), დუმიანი და გაკულტურებული ინგლისური ცხვარი.

2) მეწველი ცხვრები

3) ზემომყვანილ ჯიშების ნარეები

4) წვრილ ბერივიანი წმინდა ჯიშიანი: ელექტრორალ, ნეგრეტი, რამბულიე, ინფანტადო, მაზავებისა და სხვ.,

5) შერეული მსხვილ ბერივიანი და წვრილ ბერივიანი; გაკულტურებული ინგლისური და წვრილ-ბერივიანი.

6) იაზღვარგარეოული ცხვრები.

7) საკლავი ცხვრები დაუკოდავი და დაკოდილი.

8) თხები, ლამა, ვიგონი, ალპაკა.

II განცოც. მეცნიერების ნაწარმოები

1) მატყლის ნიმუშები.

2) მატყლის მაუდი და სხვა ქსოვილები, თევები.

3) სსვადასხვა ნაირად დამუშავებული ტყავები.

4) შესაკერი ტყავები (ბეჭვი).

5) ცხვრის ქონი და ნაწლევები დამუშავებული; დამუშავებული რქა.

6) ხორცი ცხვრისა და ბატენისა უმი, დამარილებული და ლარად გამოსული.

7) იარაღები ცხვრის ხორცის დასამუშავებელი.

8) ცხვრის რძილი გაკეთებული სანოვაგენი.

III განცოცილება. სამეცნიერო

წესი გამოფენაზე მონაწილეობის შილების შესახებ.

1. ვისაც მონაწილეობა სურს მიიღოს, მან თავისი სურვილი 20 მარიამობისთვემდე უნდა განცხადოს. განცხადება იწერება საგანგებოდ ამისათვის შემუშავებულ ბლანკებზე, რომელსაც მომწერლივებელი კომიტეტი დაუყოვნებლივ უგზავნის მნურევლთ.

განცხადებაში შემდეგი ცნობები უნდა იყოს შეტანილი:

ა) გვარი და საქველი, ბინადრობა და ადრესი საქონლის გამზადებისა.

ბ) გუბერნია, მაზრა და სოფელი, საიდანაც ივზავნება საქონელი.

გ) რა ჰერცოგინა საქონელს ან რა ნიშნები აქვს ამო-საცნობი, რა სქესისა არის და რა ჯიშისა.

დ) რამდენი წლისაა ან თვისა.

ე) რა ნაირი ჯიშის ცხოველებიდან ჩამო-

მავლობს გაგზავნილი საქონელი და რამდენი ცალი ჰყავს პატრონს ამ საქონლისა ფარაში.

2. საქონლის დასაყინებელად ადგილი გამო-იყნაზე ეძღვევათ კერძო პირებს უფასოთ მხო-ლოდ ორ-ორი სული ცხოველისათვის თითოეული ცალკე ჯიშისა, თუ ამაზე მეტი მიიყვა-ნეს—სულზე 50 კაპ. უნდა გადაიხადოს დასა-დგომი ადგილის ფასი. ეს ფული განცხადებას თან ერთად უნდა იყოს გაგზავნილი. საერო-ბო და საზოგადო დაწესებულებებს ცხოველე-ბის დასადგომი ადგილები უფასოდ ეძღვევათ.

3. ცხოველებს თან უნდა ჰყავნდეს მომვლე-ლი, რომელსაც თან უნდა ჰქონდეს თავისი „პას-პორტი“, საქონლის ყარაული ანუ მომვლელი რჩება გამოფენაზე ვიღრე გამოვენა გათავდება და ემორჩელება კომისარის (გამოფენის გამე) განკარგულებებს.

4. მირეკილი საქონელი ჯერ გაიშინჯება ბეითლების მიერ იმის დასარწმუნებლად რომ ჭირანი ხომ არა და მერე მაუცემა უფლება გამოფენაზე შეყვანისა.

საქონლის პატრონმა უნდა მიიღოს და თან იქნიოს ადგილობრივი ბეითლის მოწმობა რომ საქონელი საღი მიუდის გამოვენაზე.

5. გამოფენაზე მ.რეკილი საქონელი დგება წინადევ დაირწმულ ადგილზე. ამ ადგილის გარდცემა სხვაზედ არ შეიძლება და ვერც სა-ქონელი გამოირჩება, ვიღრე გამოფენა არ გა-თავდება.

6. საქონლის საკვების მოტანა იჯარით იქ-ნება გადაცემული. თოთ კომიტეტი ზედამხე-დველობს რამ საკვებავი საღი იყოს. საქონლის პატრონს თითოენაც შეუძლიან საკვებავი უყი-დის თავის საქონელს.

7. საქონლის მიღება გამოვენაზე მოხდება 13-დან 16 ენკვისთვებმდე.

17, 18 და 19-ში მოხდება ექსპერტიზა. ხალ-ხისათვის გამოვენა გაიხსნება 20 სექტემბრს დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათმდე ყო-ველ დევ ენკვისთვის 25-მდე. შესასვლელი ბილეთი ედიტება 50 კაპ.

8. ექსპერტებათ იქნებიან არჩეული გარეშე პირი. არცერთი იმათგანი ვისიც საქონელია გამოფენაზე ექსპერტად არ ამოირჩევა ექსპერ-ტთ კომიტეტის დადგენილება, გამოცხადდება 20 ენკვისთვეს შუადღის 12 საათზე.

9. ექსპერტთა გასაშინჯად საქონელი უნდა იყოს არა ნაკლებ სუთი თვისი. საზღვარგარე-თული საქონელი გამონჯკაბა და დაფასდება ცალკე.

10. საჩუქრებად არის ოქროს მენდლები, დიდი და პატარა ვერცალის მენდლები, ბრინ-ჯალის მენდლები და საატრიო მოწმობები. მო-მწესრიგებელი კომიტეტის მხრივ ჯილდოდ მისაცემად დაინიშნულია 6 ოქროს მენდალი, 10 ვერცხლის მენდალი დიდი, 20 ვერცხლის მენ-დალი პატარა და 20 ბრინჯალს მენდალი.

11. გამოფენა რო გათავდება ცოცხალი სა-ქონელის საჯაროდ ვაჭრობა (აუქციონი) დაი-ნიშნება. ამ გზით ვინც მოისურვებს თავისი საქო-ლის გაყიდვას, ვადანდება გამოვენის სასარ-გებლოდ ორ-ორი პროცენტი საქონლის ფასისა შეიცვლებაც და გამყიდვესაც. ვინც უკან წამო-იყვანს თავის საქონელს, ამას გადახდება გამო-ვენის სასარგებლოდ 40/0 ლირებული ფასისა.